

შინაური საქმეები

№ 13.

კვირა, 28 მარტი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი

შინაური: წყაროურწმუნებისა. — ლ. ჩიხელიძისა; კიდევ სამღვრთო წერილი წიგნების შესწორების გამო. — ბ. ჯიბულაძისა; ჯვარცმა; კოლქმრობა — დეკ. მ. ტყემალაძისა ნარკვევი. დაფარული და გამოურკვე-

ველი კვირიდან კვირობამდე. წერილები რედაქციის მიმართ; მღვდ. მინა მესხის; ბ. „კრიკას“ — წუთისოფელისა;

ქუთაისი „შინაური საქმეები“ წლიურ ხელმომწეროებს დაურიგებს პრემიით შიფტის თხუზულებას „ინსო ქრისტე“ საკვირველება ისტორიისა.

ყოველკვირეული გაზეთი
„შინაური საქმეები“

ხელის მწაწრა მიადება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკაფის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

შუაღმართ ურწმუნოებისა.

(თარგმანი)

„შეიყვარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი. რამეთუ იყენეს საქმენი მათნი ბოროტ.“ (იოან. 3 19).

გონების რწმენისა და გულის სიწმინდის შუა შინაგან კავშირის გამო, საღვთოწერილში სარწმუნოება შერაცხილია, როგორც ზნეობრივი მოვალეობა, ურწმუნოება კი, როგორც ცოდვა, რომელშიც ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ღვთის წინაშე როდესაც ურიები ეკით

ხებიან მაცხოვარს. როგორი საქმეები უნდა ეკეთებიათ მათ, რომ ყოფილიყვნენ ღვთის საძინონი, ის უპასუხებს მათ: „ესე არს საქმე ღვთისა რათა გარწმენეს, რომელი იგი მან მოავლინა“. მოციქული იოანე თავის ეპისტოლეში ეგრევე გვიხატავს სარწმუნოებას, როგორც მცნებას ეგზომ უთუოს, როგორც სიყვარული: „და ესე არს მცნება მისი“, ამბობს ის, „რათა გვრწმენეს სახელი ძისა მისისა იესო ქრისტესი და ვიყვარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მომცა მცნება“ (იოან. 3, 23). მაცხოვარი დანაშაულად ურაცხდა ებრაელებს მათ ურწმუნოებას, როგორც დამამტკიცებელს მათი ზნეობრივი გახრწნილებისას: „ჰოი ნათესავი ურწმუნო და გვალარძილი, ვიდრემდის თავსვიდებდე თქვენსა“ (მათ. 17 რ. 17) ამ გვარი მაგალითები მრავალია. ღრმა აზრია ამ დაახლოებასა და კავშირში, რომელსაც საღვთო წერილი ყოველთვის სუამს სარწმუნოებასა და ზნეობრივ მოვალეობას, ურწმუნოებასა და ცოდვას შუა. ეს ერთი დამამტკიცებელი საბუთია მისა, რომ წმ. მწერალთა პირით ლაპარაკობდა სულიწმინდა, რომელმაც ერთმა იცის ყველაფერი, რაც კი კაცშია, და გამოცდის სიღრმესა სულისა მისისასა.

შეკველია, მაშასადამე, რომ წყარო ურწმუნოებისა გონებაში კი არაა, გულშია,



აზრთა მიმართულებაში კი არა, გრძობათა მდგომარეობაშია, გონების ცდომაში კი არა, ნების ბიწიერებაშია მათსადამე, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ ურწმუნოების წინააღმდეგ ჩვენშიც და სხვებშიაც, საჭიროა მიემართოთ არა გონებას, არამედ სინდისს, უნდა ვიმოქმედოთ გონებაზე გულის მხრივ. და არა გულზე გონების მხრივ. რომ კაცმა გამოიცილოს ქვეშაობა, მისთვის საჭიროა პირველად შეიყვაროს იგი; იმისთვის კი, რომ გვიყვარდეს ქვეშაობა, აუცილებელად უნდა გვიყვარდეს სათნოება, რომელიც განუცილებელია ქვეშაობებისაგან. მშვენიერად სთქვა ერთმა მოაზრე ქრისტიანმა: „კაცობრიულ საქმეებში საჭიროა იცოდეთ რომ შეიყვარო; ღვთიურ საქმეში კი უნდა, შეიყვარო, რომ იცოდეთ“.

ამის გამო თუ ჩვენ ვაფასებთ ჩვენს ქრისტიანულ რწმენას,—და ან კი შეგიძლია, რომ არ დავაფასოთ იგი?—რა არის ცხოვრება უსარწმუნოებოდ?—თუ, ვამბობ, ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი სარწმუნოება*) და ვიცით იგი ჩვენში ურწმუნოების ყოველ გვარ შემსუსტებელ მოქმედებათაგან: კეთილი ქრისტიანული ცხოვრება. უეჭველია, გონებასა და აქვს თავის უფლებები სარწმუნოების საქმეში, რომელიც არ შეიძლება შეურაცხველი. ერთხელვე აღძრული აზრი არ ჩერდება შუა გზაზე, არამედ მიესწრაფის დაიპყროს მეტი და მეტი ცოდნა. რადგანაც სფერა სარწმუნოებისა დაკავშირებულია კაცობრიულ ცოდნის ყველა სფერასთან, ამიტომ მოაზრე და განვითარებული გონება, რამდენადაც უფრო და უფრო გებულობს ყველაფერს, არ შეუძლია ამ თავის გზაზე არ შეხვდეს სარწმუნოების კითხვებს, და შეხვდება რა მათ—არ შეუძლია არ ეძებოს მათზე პასუხი. ვინაიდან თუ კი მეორე ხარისხიდან ქვეშაობებებს შეუძლიათ მიიქციონ და ჩანთქან მისი ყურადღება, ნუთუ ქვეშაობებთა ქვეშაობებამ, ქვეშაობებამ საუკუნო, შესაძლებელია არ აღძრას მასში ცოცხალი ინტერესი და არ მიიქციონ მისი აზრების ყურადღება? ამისათვის მოვალეა თითოეული მოაზრე და განათლებული კაცი გამოიძიოს თავის გული, არ დასტოვოს უყურადღებოთ თავის შორის დროთი დრო აღძრული ვკვები და კითხვები გონებისა სარწმუნოების შესახებ,

*) ამ საშეკვამა

ღონისდაგვარად ეძებოს პასუხები მათზე ღვთის სიტყვასა და ლოცვაში. ყველა ეს მიზნად კიდევ არ გვაძლევს სარწმუნოებას. გონება დაჯერებული, კიდევ არ არის გონება მორწმუნე. რომ ირწმუნონ სარწმუნოების ქვეშაობებები, ამისათვის საკმაო არ არის მარტო გონებით შეთვისება მათი, საჭიროა რაღაც სხვა უმაღლესი, უმეტესი. საჭიროა რომ ისინი გონების სფეროდან გადავიდნენ გულის სფერაში, შევიდნენ ჩვენ შინაგან დაფარულ ცხოვრებაში, გახდნენ ჩვენი არსების განუშორებელ ცოცხალ ნაწილად. ეს კი კიდევ ვამბობ შესაძლოა მხოლოდ კეთილ ქრისტიანულ ცხოვრებით. გესურს თუ არა გვექონდეს სარწმუნოება ცოცხალი, ქვეშაობიტი, სარწმუნოება არა გონებისა, არამედ გულისა? ვაკეთოთ საქმე, სარწმუნოებისაგან ნამცნები, გვიყვარდეს ღმერთი და შეუდგეთ მის წმინდა მცნების ასრულებას, რომელსაც გვამცნებს მაცხოვარი: „უკეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს ცნას მან მოძღვრება ესე, ვითარ რაი არს: ღვთისაგან არს, ანუ მე თავით თვისით ვიტყვ“. მხოლოდ ქრისტიანულ ცხოვრებას აქვს ძალა დაგვიწვდოს, ღრმად აღვვიბეჭდოს სულში სარწმუნოება ქრისტიანული. ქვეშაობებმა ყოველთვის იმდენად ცხადია და ძვირფასია ჩვენთვის, რამდენადაც მეტს მსხვერპლს ვსწირავთ მას ცხოვრებაში. ის რასაც ჩვენ ვაკეთებთ მისთვის, თითქოს აკავშირებს მას ჩვენ სულთან. ჩვენ უმეტესობით მას ჩვენ თავის; რამდენადაც ვახორციელებთ მას ჩვენ ცხოვრებაში. ძნელია ცოცხალ შეარყიოს სარწმუნოება, რომელმაც უკვე მრავალი ძეგლი მოიგო ცხოვრებაში, დაენათესავე და თითქმის შეურთდა მას.

ამისათვის, როცა ვშრომობთ, რაც ჩვენ შეგვიძლია, სარწმუნოების ქვეშაობებთა გონებით გასაგებათ, ვეცადოთ უმეტესად და უმაღლესად ვავიგოთ იგინი გულის შემწეობით, განვახორციელოთ რწმენა ჩვენ ცხოვრებასა და საქმეებში. მარად ღაღად ვყოფ ღვთისა მიმართ მსგავსად პირველ მოწაფეთა: „უფალო შემძიე ჩვენ სარწმუნოება“. (ლუკა. 17 რ. 5 ს.) არ დავივიწყოთ მასთან, რომ ჩვენ თითონ ხელი უნდა შევეუწყოთ ამ ლოცვის აღსრულებას. ვაყოთ

ერთგულნი, გაუმავრდეთ ყოველ—გვარ ბო-
როტებას; მივანდოთ ღმერთს ჩვენი გული
სრულიად და განუყოფელად; ქრისტე მაცხოვარ-
ი დავისახოთ მაგალითად, სათნოება კი მიზ-
ნათ ჩვენი ცხოვრებისა. მისდა მიხვედით თუ
რამდენად მიუახლოვდებით ჩვენ ამ ზნეობრივ
უნაკლულობას, ქეშმარიტება ქრისტესი, ნამ-
ცნები სახარებაში, შეიქნება ჩვენთვის უფრო
მეტად და მეტად თვალსაჩინო. და თუ ამ
ცხოვრების ბრძოლასა და ცდაში კიდევ ყოველ-
თვის დარჩება ბუნდოვანება ჩვენ სარწმუნოე-
ბაში, როგორც ყოველთვის დარჩება ჩვენ გულ-
ში ცოდვისაკენ მიმზიდველობა, მაინც კი
გვექნება საკმაო სინათლე მისთვის, რომ მო-
ველოდეთ მშვიდობით იმ ბრწყინვალე დღეს,
როდესაც ჩვენ ღვიცნობთ ვითარცა, შევემეც-
ნეთ*, როდესაც დავინახავთ ქეშმარიტებას არა
ვითარცა სარკეში, არამედ მთელ სინათლით
„პირისპირ“!

(დასასრული).

ლადო ჩიხელი

კიდევ საღმრთო წერილის წიგნების შესწორების შესახებ.

მე სრულებითაც არ მაქვს, მკითხველო,
სახეში ქართული ენის ცოდნა გამოვიჩინო.
მე კარგათ ვგრძნობ ჩემ ნაკლულეფანებას.
მხოლოდ მინდა ორიოდ სიტყვა მოკახსენოთ
დასასაბუთებლად და დასამატებლად იმ ჩემი მცო-
რე შენიშვნისა, რომელიც „იყო დაბეჭდილი
„შინაური საქმეების“ მერვე №-ში ქართული
საღმრთო წერილის წიგნებს შესწორების შე-
სახებ. მე ვწერდი: „მომხედენ“ არის ბრძანე-
ბითი კილო მრავლობით რიცხვისა; თუმცა არ
ბოლოვდება ასოთი „თ“, მაგრამ ეს არ არის გა-
საკვირველი, რადგან ხშირად შეხედებით ძველ
ენაში მრავლობით რიცხვში ისეთსავე დაბო-
ლოვებას, როგორც მხოლოდობითშია. ამასვე
ვიმეორებ ახლა. მაგ. ძველად ახლა.

გიქია (თქვენ) გიქიათ
უქია — უქიათ
ექო — ექოთ

გექოს — გექოსთ
ექოს — ექოსთ.

ცოცხალ ენაში მომატებული აქვს „თ“.
უწინ ეს ასე არ იყო; ეს ჩასართავი (суффиксъ)
მერმე მიმატებულა. მათი შეუფება ბრძანებს:
„ნ“ არით ბოლოვდება ხშირად ბრძანებითი
კილოს მეორე პირი მხოლოდობითი რიცხვი-
სა, ისიც მაშინ, როცა ზმნიდან დამოკიდებუ-
ლი სიტყვა მრავლობით რიცხვშია. მე კი მო-
გახსენებთ: „ნ“ არით ბოლოვდება (ამ შემთხვე-
ვაში, ე. ი. როცა ბრძანებითი კილოა) ხშირად
მეორე პირი როგორც მხოლოდობითი, ისე მრავ-
ლობითი რიცხვისა, მიუხედავად იმისა აქვს,
თუარა ზმნას დამატებითი სიტყვა, და თუ აქვს,
სულ ერთია მხოლოდობითი რიცხვისა, თუ მრავ-
ლობითის ეს დამატებითი სიტყვა მაგ.:

- 1) დედოფალო მოხედენ ვედრებასა ჩემსა
- 2) მოიძიენ შენ მშვიდობა
- 3) ძმანო ჩემნო ნუ თვალდებით გაქვენ
სარწმუნოება. (მრავლ.)
- 4) სძულდინ თქვენ სამოსელი იგი. (მრავლ.)
- 5) გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ.
- 6) გიხაროდენ და მზიარულ იყვენით (მრავლ.)
- 7) ნუ გიკვირნ ესე. (მრავლ.)
- 8) ნუ გიყვარან სოჟელი ესე (მრავლ.)
- 9) მომხედენ მე წყალობით.
- 10) მომხედენ მე, უფალო, მონასა შენსა
- 11) გიხაროდენ თქვენ მას დღესა შინა (მრ.)
- 12) გეშინოდენ ღმერთისა
- 13) გიყვარდენ მტერნი თქვენნი (მრ.)
- 14) გიყვარდენ მოყვანნი თქვენნი. (მრ.)
- 15) ხალო აშას ზედა ნუ გიხარიან და

სხვა და სხვა, სადაც ვერ ვხედავთ მრავლობით
რიცხვში დაბოლოებას „თ“ საზოგადოთ ბრძა-
ნებითი კილო ისახება სხვადასხვა დროის
ფორმათაგან. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სა-
კითხი შეტად რთული და ძნელია და შეადგენს
საცილობელ საგანს მომუშავე და სპეციალისტ
ლინგვისტთათვისაც კი*)—ამასათვის ერთი კალმის
მოსმით ამის გადაწყვეტადილ კანდიერებათ მიმა-
ჩნია. მე მხოლოდ იმ აზრისა ვარ, რომ ძველი
ფორმები თუ სადმეა კიდევ დარჩენილი სალ-

*) См. Проф. Марра. „Основные таблицы кь кь грамматикь древне-груз. языка“

მართა წერილის წიგნებში, ჩვენ უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ, რადგან ცოცხალ ენაში ძნელად ვპოვილობთ ახლაც და მერმე რამოდონიმე ხნის შემდეგ ხომ სულ აღარ იქნებიან. „ურთიერთას“ და „ურთიერთას“ ორივენი ძველი ფორმები არიან, ამათში „ურთიერთას“ ჩემი ფიქრით უძველესი უნდა იყოს, „რ“ ჩამატებულია და თუ სადმე შეხვდება კაცი, რათ არ უნდა დატოვოს შეუცვლელად თავის ადგალზე. ამასთან ერთი გამოჩენილი პროფესორის მოსაზრებაც უნდა ვიქონიოთ ყოველთვის სახეში. „Религиозное чувство стоит за сохранение такихъ вещей, которыя чтутся, какъ святыня. Съ крайнею осторожностью нужно касаться такихъ неприкосновенныхъ вещей и думать объ измененіи и замѣнѣ ихъ. Къ числу такихъ предметовъ, свято чтимыхъ, относится богослужебный языкъ. Смысловое прикосновение къ нему можетъ вызвать большія волненія и нарушить миръ церкви“. ისტორია მოწმობს, თუ რა უწყისოება და არეულობა გამოიწვიეს საღმრთოწერილის წიგნების ცუდად გამოსწორებლებმა: რომში, საბერძნეთში, რუსეთში და ყველგან. ეპისკოპოზი დავითი ბრძანებს, ქართველი ხალხი იმდენი გულგრილია ახლა ეკლესიისადმი, რომ სრულებითაც არ მიაქცევს ყურადღებას საღმრთოწერილის წიგნების ტექსტის შეცვლას. ამ სამწუხრო მოვლენამ (გულგრილობამ) არ უნდა გაგვათამამოს ჩვენ და ძველი ფორმები ახალ ფორმებთან არ უნდა შეგვაცვლევინოს. როცა მას საჭიროება არ მოითხოვს. შით უშეტესად ძველი ფორმები შეცთომებთან არ უნდა ჩავთვალოთ. მე ისევ იმას ვიმეორებ, რაც წინათ ვსთქვი და რასაც ბატ. ხელიც სწერს: „ჯერ უნდა შევისწავლოთ ენა და მერმე წიგნები შევასწოროთ, თორემ რას ვმსგავსება ვხლა წიგნები გავასწოროთ, შემდეგ ენა შევისწავლოთ და კიდევ გავასწოროთ“.

ბაჭთელი.

კვარცხა

(ფარსართ)

აღესრულა!

რაც უნდა მხეცური და აღმაშფოთებელი ყოფილიყო ჯვარცხა, რომელიც აგერ ათას ხუთასი წელიწადი გადის, რაც მოსპობილი შეიქმნა მთელი კაცობრიობის საზოგადო ზიზღისაგამო მისდამი, მაინც როგორც იუდელებს ისე რომაელებსაც ჰქონდათ ჩვეულება, რომელიც მოწმობს, მათ სიბრალულსა ზე კაცურ გრძობას. რომალების ჩვეულება მდგომარეობდა იმაში, რომ საწამებელ კაცს დაარტყამდენ ღლიის ქვეშ; ამით თუმცა კაცი არ კვდებოდა, მაგრამ, ასწრაფებდა კი სიკვდილს. ამ ჩვეულებაზე ჩვენ არაფერი გვეთქმის, რადგან ის ეხლა რაღაც არ უხმარიათ. იუდელების ჩვეულება კი, რომელიც, როგორც სჩანს დამოკიდებული იყო იუდელების უფრო ღმობიერ ხასიათზე და ეფუძნებოდა იგავთა ვით. 6 მ. რაბინთაგან საბედნიერო განმარტებაზე, მდგომარეობდა იმაში, რომ განკითხულს, როგორც კი ვაკარავდენ ჯვარზე, ასმევედენ ღვინოს, აღზავებულს ძლიერი გამაბრუებელი წამლით. ამ გამაბრუებელ სასმელს ამზადებდენ იერუსალიმელი მდიდარი ქალები თავის ხარჯით და აძლევდენ მას ყველა დასასჯელად გამზადილ პრებს, ვინც უნდა ყოფილიყო და რაც უნდა დანაშაული ყოფილიყო იგი. ეს სასწული უთუოდ სიამოვნებით მიიღეს ავაზაკებმა, მაგრამ, როცა იგი მიუტანეს იესოს, მან არ მიიღო იგი. ასეთი უარისყოფა არაჩვეულებრივ გმირობის დამამტკიცებელი იყო. სასმელის დანიშნულება ის იყო, რომ მოედუნებია ძარღვები, დაებნებებია გონება ზე არ ეგრძობინებია მცირედი ნაწილი მაინც ტანჯვისა. მაგრამ მან, ვისაც თანამედროვე ურწმუნონი უსინდისოთ ბრალს სდებენ დედაკაცურ სისუსტეში და ლაჩრულ სასოწარკვეთილებაში, არჩია „პირის-პირ ემზირა სიკვდილისათვის“, შეხვედროდა მას მთელი მისი შემზარაობით, რომ ერთი შემაწუხებელი გრძობაც არ დაესუსტე-

ბია, არ გაეყუჩებია დატანჯული ძარღვების დამკრუნჩხავი ტკივილები.

სამივე ჯვარი დადებულ იქნა მიწაზე, გარნა ჯვარი ქრისტესი, რომელიც უთუოდ ყველაზე მაღალი იყო მეტი ქირღვისათვის მოათავსეს შუაში. მხოლოდ ესლა, შეიძლება, მიაქედეს ჯვარს გარდ-გარდმო ფიცარი და წარწერა ბრალისა, რომელიც აქამდე ან თვით ქრისტეს ეკიდა გულზე და ან მხედარს მიჰქონდა მის წინ. ამის შემდეგ მას გახადეს ტანისამოსი და დადგა საშინელი წამი. ქრისტე დააწვინეს ჯვარზე. ხელები გაუშალეს ჯვრის გარდ-გარდმო ფიცარზე და მიაქედეს ორი დიდრონი ლურსმით. შემდეგ თითქმის ფეხიც, ან ორივე ერთად თუ ერთმანეთზე გადაუდგეს, მიაქედეს დიდი ლურსმით. მიაკრეს თუ არა ამასთანავე წამებული ჯვარზე თოკითაც, არ ვიცით; მაგრამ ხელფეხი რომ არ დაგლეჯოდა სიმძიმის გამო, რადგან მთელი სხეული „მხოლოდ ოთხ ქრილობაზე იყო დანდობილი“, ჯვარს საფეხურიც მოუწყვეს, რომელსაც ცოტათ მინც უნდა შემაგრებია სხეული რომელიც სწრაფად მძიმდებოდა წამებისგამო.

უთუოდ ამ წარმოუდგენელ მწუხარების დროს გაისმა სიტყვა ღვთის ძისა: „მაშა, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.“ მაგრამ ეს არ იყო აღმოკვანესა აუტანელ და საშინელ ტანჯვისა, ეს იყო მშვიდობიანი ლოცვა ღვთის მოწყალებისადმი მის მხეც და უწყალო მკვლელებისათვის და ყველა მათთვის, ვინც თავის ცოდვილ უვიცობით ხელახლა ჯვარს აცმენ ხოლმე მას.

ამის შემდეგ „წყვეული ხე“ მახე დამოკიდებული კაცის სხეულით, რომელშიდაც ყოველი შენძრევა ხისა ახალ ტანჯვებს და ტკივილებს იწვევდა, აღმართეს მხედრებმა და გაამაგრეს წინაღვე ამოთხრილ ორმოში. წამებულიის ფეხები ცოტათ თუ იყო ამორებული მიწას. მსხვერპლი ყველასათვის მისაწოთმი იყო, ასე რომ ყველას შეეძლო, თუ კი სურდა, განეცხადებია თავისი ზიზღი ცემით და ყოველ-გვარი ქირღვა—დაცინვით. რამდენიმე საათის განმავლობაში ჯვარზე დამოკიდე-

ბული ქრისტე, უეჭველია, სალანძღავ—საგინებელ და საწამებელ საგნად გაუხდებოდა ცივ გულა, ბრაზბორულგაუნათლებულ ბრბოს, რომელიც განუწყვეტლივ ირეოდა ჯვარ ქვეშ იმ საშინელების სანახავად, რომელსაც უურო სისხლის ცრემლები უნდა ეფრქვევინებია ადამიანისათვის.

ჯვარცმის ტანჯვები თანდათან აუტანელი ხდებოდა მით უფრო, რომ სიკვდილი გვიანდებოდა. წამება ისეთი მკაცრი იყო, რომ ტანჯულები ხშირად იძულებულნი იყვნენ, ეთხოვათ მაყურებლებისათვის ან სასჯელის აღმასრულებელთათვის, რომ შეებრალბიათ და ბოლო მოეღოთ ამ აუტანელ ტანჯვებისათვის; ბოლომდის მეხსიერებაში მყოფნი და გრძობიერებას მოკლე ულნი, იგინი ცრემლით ითხოვდენ თავის მტარვალთავან მხოლოდ ერთ საჩუქარს სიკვდილს. ამიტომ ბევრი იყო მაგალითი როცა განკითხულებს თავიდანვე ჰტელავდენ ან თითქმის ჰკლავდენ და შემდეგ უკვე ჯვარზე აკრავდენ; ისეთი მაგალითებიც იყო, როცა დიდი ქრთამებით ყიდულობდენ ასეთ საშინელ, მაგრამ კეთილ-მოქმედ უპირატესობას.

და მართლაც, ჯვარცმითი სიკვდილში თავს იყრიდა ყველაფერი, რაც კი საშიშია სიკვდილში და წამებაში: თავბრუ, უნებური მანქვა, წყურული, შიმშილი, ციება, შტერობა, საქვეყნო სიწილიე (позоръ), ხანგრძლივი ტანჯვა, სიკვდილის მოლოდინი, ქრილობების ანთება; —და ეს ყოველივე იმ ზომამდე გაძნელებელი, რამდენიც საჭირო იყო, რომ ადამიანს გრძობა არ დაკარგოდა და მით ტანჯვები არ შემსუბუქებოდა. არა ჩვეულებრივი მდგომარეობა აუტანელ ტკივილებს იწვევდა სხეულის ყოველ მოძრაობაზე; ცეცხლ მოკიდებული დაგლეჯილი ძარღვები წამდა-უწუმ კრთოდენ დაუცხრომელ ტკივილებით, ღია ქრილობებს თანდათან ეკიდებოდა ანტონის ცეცხლი, მფეთქელი ძარღვები (артерия), განსაკუთრებით თავში და კუჭში, ძალზე იბერებოდენ და იკიმებოდენ ნამეტანი სისხლის ცემით, და ყველა ამ ტანჯვასთან ერთად აუტანელი, მწვავე წყურული ყველა

ეს ტანჯვები საერთოდ ისეთ შინაგან მწუხარებასა და კაეშანს აღუძრავდა ადამიანს, რომ თვით სიკვდილიც კი—ეს საშიშარი და საიდუმლო შტერი, რომელის მხოლოდ ერთი მოახლოებით ძრწის ადამიანი—ტკბილ ზ სასურველ მხსენელად ეჩვენებოდა.

ასეთი იყო სიკვდილი, რომელიც მიუსჯეს ქრისტეს; და თუმცა მის საბედნიეროდ მისთვის ეს მალე დადგა მისგან, რაც მან წინდაწინვე დაითმინა, მაგრამ იგი მაინც იტანჯებოდა ჯვარზე შუადღიდან დაწყებული თითქმის საღამომდის, სანამ „სულს განუტეებდა“.

ჯვარის აღმართვისთანავე, ებრაელების მთავრებმა პირველად შეამჩნიეს ის სასიკვდილე შეურაცხება, რომელიც მიაცენა მათ პილატემ. თავის ბრმა სიბრახის მეოხებით მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ იესო ქრისტეს ჯვარზე მოწყობილი იყო მისვე საქრდავად; მაგრამ, როცა მათ დაინახეს იგი დამოკიდებული შორის ორთა ავაზაკთა, ხოლო უფრო მაღალ ჯვარზე, ერთბაშით მიხედნენ, რომ ეს სასჯელი მათვე საქვეყნოდ ჰქონებოდა. ი. ქრისტეს თავზემოდ ბრწყინავდა თეთრი გიბსით განალესი ფიცარი იმ დროს სამ ცნობილ ენაზე (—ებრაულზე, რომაელზე და ბერძნულზე) ზეწარწერით მეფე ურიათა.

(შემდეგი იქმნება)

ყოველქრობა.

არაფერი არ არის ისე სამარცხვინო, როგორც მრუშობა ცოლის შერთვის შემდეგ. ამნაირ კაცს რცხვენია არამც თუ სიმამრის, და სიდედრის და ყოველივე თავის, ისე ცოლის ნათესაობისა, არამედ თავის თავისაც. თვისი სახლი მას ყოველ საპყრობილზე უარესად მოიჩნია და მოსვენებას ვერ პოულობს; ყოველთაშ შტეყარებულის სახე უფერია თვალის წინ; ვისც ცოლი ორგული ყავს, ვერ წარბოიდგენ, ძმაო ჩემო საყვარელო, როგორ ტანჯავაში იტარებს ის თავს წუთისოფელს; სახლ-

ში არ უდგება გული, ყოველიფერი, როგორც სასმელი, ისე საქმელი მოწამლული გონია, გული არ მიუღის; ძილი მან არ იცის და მოსვენება. ასეთი მდგომარეობაა ცოლისაც, როცა მას ქმარი დალატობს. ვერც ღღე და ვერც ღამე ისინი ვერ ისვენებენ; ვერც მეგობრები, ვერც რაიმე გასართობები მათ ვერ გაამხიარულებენ. ყოველთვინ დაღვრემილნი, დაღონებულნი არიან. ვარდა წვალებისა და ტანჯვისა მათ არა მოეღისთ რა. საღმრთო წერილშიაც არა ერთგზის შეხვდებით დარიგებას, რომ კაცმა არ უნდა იმრუშოს და ვინც არ გაიგონებს ამ დარიგებას, ვარდა სასჯელისა მას არაფერი მოეღისრა. „აა იმრუშო“ (ლუკ. 18, 20). „გაძმან უკეთუ ვინმე მრუშება ჰქოს ცოლისა მოყვასისა თვისისა, სიკვდილით მოკვდის, ორნავე შემცლდე არიან: (ლუკ. 20, 10; მეორე სჯული 22, 22) იესო ქრისტე ბძანებს: „გემმა; რამეთუ ითქვა; აა იმრუშო? (მათ. 5, 27). „მემრუშეთა სასუფეველი დმთათა ვერ დაიშკვიდრან“, სწერს პავლე მოციქული. (კორ. 6, 9).

იგივე მოციქული სწერს: „ეველტოდეო სიძვას: ეოკელი ცოდეა, რომელი ქმნეს კაცმა გარეშე ხორცთა არს, ხოლო რომელი ისიძვადეს თვისთა მიმართ ხორცთა სცოდაფს (1 კორ. 6, 18). მეძავი ადამიანი ღუპავს როგორც თავის თავს ისე სხვას. მეძავი დედაკაცი ყოველღონისძიებას ხპარობს დაარღვიოს საწმიდე ოჯახისა, იმოდენს ეცდება, ვისც შეცდენა უნდა, რომ ხელში ჩაიგდოს და მერმე მის მტარვალად გახდება. თუ, ძმაო ჩემო საყვარელო, შენი კანონიერი ცოლისაგან ხანდისხან გაიგონებ საწყენ სიტყვას და მისთვის ბრახდები, მეძავისაგან არამც თუ სიტყვით, საქმთაც ბევრს შეურაცხყოფას მიიღებ. თვითონვე მოგქრის თავს, არ დაგინდობს; ყველას შეატყობინებს, რომ მასთან კავშირი გაქვს. რამოდონათაც მასთან პირველად ხვეენა-კოცნა და საუბარი სიამოვნებას გაძლევდა, ათს, ასს ამოდენს სიწმარეს იგიმებ შემდეგ მისგან. „თაფლი გარდამოსწკეთთან ბაკეთაგან დედაკაცისა მეძავისათა, რომელმან წუთიანად დაატკბოს სასა შენი, ხოლო უკანასკნელ უმწარეს ნაღვლისა ჰქობთ და უმკვეთლეს უფრას მახვილისა უსულოს ორპირისა“, ამბობს სოლო-

მონ ბრძენი. (იგ. 5, 34). რათ გინდა, ძმაო ჩემო საყვარელო, ასეთი სიტუაცია, თუ კი ბოლოს დაგლუბავს? უმჯობესია არ ანის შენ კანონიერ ცალთან იცხოვრო? როდესაც შეგიძლია სვა წმინდა, სუფთა წყაროდგან წყალი, რა საჭიროა, მყარად, წუმბე, მატლებით სავსე ქაობიან ადგილიდგან ამოიღო ის დასალევით? თუ ცოლის შერთვამდისინ გარყვნილი ცხოვრება დასაძრახისია, დამამცირებელია ადამიანისათვის, მით უმეტესად ქორწინების შემდეგ, როდესაც შენ მარტო შენ თავს კი არ ეკუთვნი, სხვის საკუთრებასაც შეადგენ და ამ ნაირად ორნაირ პასუხის გებაში ვარდები. ამისათვის, როდესაც, ხედავ ძმაო ჩემო საყვარელო, რომ ვისმეს უნდა შენი შეტდენა და მით დარღვევა ცოლთან შენი კავშირის სიწმიდისა, უთხარი მას: „ეს ჩემი ხორცი მარტოა მე არ მეკუთვნი ახამედ შეადგენს ცოლის საკუთრებასაც და უფლება არა მაქვს, ვისმეს მივსცეთ; აგრეთვე უნდა მოიქცეს ცოლი. ცალი თვისთა ხორცთა ზედა ანა უფაღ ანს, ანამედ ქმარი; ეგრეთა და ქმარცა თვისთა ხორცთა ზედა ანა უფაღ ანს, ანამედ ცალი. (1 კორ. 7, 4) სწერს პავლე მოციქული. არც ერთს მათგანს არ აქვს უფლება დაარღვიოს, შებოღნოს ცოლქმრული კავშირი. ორნაირ პასუხის გებაში ვარდებიან ორთავენი, ცოლი უღალატებს ქმარს, თუ ქმარი ცოლს. როგორც რომ სუფთა, თავდაცული კაცი არ შეიძლება თავის ცოლს, რაც უნდა იგი უსახური იყოს, ისე გარყვნილი ვერ შეიყვარებს თავის ცოლს, რაც უნდა ღამაზი იყოს იგი. გარდა ამისა, კაცს ერთი ცოლის ხელში თუ ჯაფა, დარდი და ვარამი აქვს ათუ მის, ათუ შეიღების ჩაკმადახურვით, აღზრდით, მოვლით როგორც კარგათ, ისე, ნამეტურ, ავადმყოფობის დროს. ასე რომ აღარც დრო და აღარც საშუალება აღარ რჩება მას თავის თავზე სასაზრუნველად მით უმეტესად როდესაც ერთის მაგიერ ორ-სამ წყება ცოლშიელს გაიჩენს, ის სრულებით გაისრისება. კანონიერი ცოლშიელი სარჩოს ყოველთვის მოითხოვს და კიდევაც წაიღებს, კანონის ძალით, უკანონოს ხომ ერთი ორად დასჭირდება. უკანონო ცოლები ყოველთვის მეტს თხოვილობენ, უფრო დიდგულად

ეკიდებიან შეყვარებულებს. მერე ხსლანდელ დროში, ამ სიძვირუში! კაცს ერთი წყება ცოლშიელისთვისაც ვერ მოუვლია და ორს რანაირად მოუაროს? რისთვის, თორემ კაი შენ? განა ერთი ვერ დააკმაყოფილებს? ჯერ, როცა კაცს პირველი ცოლი უკვდება, უმჯობესია ქვრივად დარჩეს და განაგრძოს თვისი კავშირი (სულიერი) მიცვალეზულ მეუღლესთან, მით უმეტესად ვალდებულია, არ უღალატოს ცოლს, სანამ უკანასკნელი ცოცხალია და მეორე არ მოისვას გვერდით. ძმაო ჩემო საყვარელო, მიხედვ და წაბაძე იმას, ვისაც ერთი ცოლი ყავს და ერთგული არის და თავის ღღეში გულშიაც არ გაივლებს, აზრათაც არ მოუვა სხვაზე გასცვალოს. ნამეტურ სამაგალითოთ და წასაბაძავათ უნდა გვეყავდნენ ის პირნი, ვინც სულ არ ქორწინდებიან, არამედ პავლე მოციქულის დარიგებისამებრ სუფდათ და უმწიკვლოთ ატარებენ დროს. „კეთილ ანს მათდა, უქორწინებელთა, უკეთუ ეგნენ (იყვნენ) ესრეთ, ვითარცა მე (ე. ი. ქაღწუღად, უქორწინებლად.) (1, კორ. 7, 8). ამ სიტყვებით პავლე მოციქულს სრულებითაც არ უნდა, დაამციროს ქორწინება; მას უნდა მხოლოდ ის აზრი გამოთქვას, რომ უქორწინებელი ადამიანი უფრო ადვილად შეასრულებს ღვთის მსახურებას, ვინემ ოჯახით დატვირთული (1, კორ. 7, 33-34, 38). ყველამ ვიცით, რომ ერთი მოვალეობის ასრულება უფრო საადვილოა, ვინემ ორის და სამის. მაგრამ ვინ უგდებს ყურს ახლა ამხაირ ბრძნულ დარიგებას? როგორც ზევით ვსთქვით, ქორწინდებიან, რომ მალე გაიყარნენ, ანებებენ თავს ერთმანეთს, რომ მალე სხვებთან დაქორწინდნენ. ჯვარდაუწერლად ხომ მრავალნი ცხოვრობენ ერთად. რაც იერემია წინასწარმეტყველმა სთქვა, ისევე შეიძლება გაიმეოროს ახლაც კაცმა: „რომ ვინმემ მომცეს მე უდაბნოში უკანასკნელი სჯდგური, დაუტეო ერი ჩემი და წავიდე მისვან, რამეთუ ეოვედსა ამრუშებენ (9, 2) როგორც ცხოველები, ერთმანეთს უკავშირდებიან ადამიანები, რომ მერმე ისევე განცალკევდნენ და ერთმანეთი დაივიწყონ. შვილები მათი ხომ უბატრონოთ და უყურადღებოთ ყრიან. სტა-

ტიტიკა გვიმტკიცებს, რომ დიდ-დიდ ქალაქებში სამ ახლად დაბადებულთა შორის ერთი უკანონოა. თუ ასე წავიდა საქმე, როგორც ახლა მიდის, ჩქარა დადგება დრო, როდესაც დედას ეყოლება რამოდონიმე შვილი, რომელთაც არ ეცოდინებათ, თუ ვინ არის მათი მამა. ასე იყო უწინც, როცა ხალხი ველურად ცხოვრობდა და როდესაც ბავშვმა მხოლოდ თავისი დედა იცოდა, მამის ვინაობას კი არავინ აგებებდა მას. გვარსაც დედისას ატარებდნენ მამის. კაცი და ქალი მხოლოდ დროებით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, რათა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი სხეულთა ფუნქციები. თავის სიცოცხლეში ქალს შეეძლო ჰქონოდა კავშირი რამოდონიმე კაცთან და ყველასაგან ყოლოდა შვილები; ამ უკანასკნელებმა მხოლოდ დედა იცოდნენ და მამები კი არა. ნათესაობაც მხოლოდ დედის მხრივ ვინც იყვნენ, მათ შორის ითვლებოდა. ვაი თუ ისეთი დრო დადგეს, რომ არამც თუ მამების, დედების ვინაობაც აღარ ეცოდინოსთ შვილებს. განა ცოტას პოვილობენ ქუჩებში დაგდებულთ უკანონოთ ახლად დაბადებულთ, რომელთაც სახელმწიფო და საზოგადოება პატრონობენ და რომელთაც არ იციან არც დედები და არც, მით უმეტესად, მამები?

(შემდეგი იქნება)

დოქ. მ. ტყემალაძე.

ექიმ ოსტროვსკის მოხსენებაში სხვათა შორის შემდეგი საინტერესო ცნობებია მოყვანილი.

6 წლის განმავლობაში 1903—1909 წ. ადესაში ყოფილა 1915 შემთხვევა თვითმკვლელობისა; გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ეს შემთხვევები ყოფილა სხვადასხვა მიზეზების შედეგი. მიზეზებში პირველი ადგილი უკავია ნივთიერ ხელმოკლეობას და გაჭირვებას, მეორე ადგილი—ლოთობას; შემდეგ კი რიგ რიგობით მიჰყვება: სიყვარული, სიყვარულზე აღძრული ექვიანობა (ревность), ცოლქმარ შუა აღძრული უთანხმოება, სულით ავანტურაობა, მწუხარება, სირცხვილი, შიში სასჯელისა, ბოლოს კი უკმაყოფილება ქვეყნიურ ცხოვრებაზე. ზემოაღნიშნულ მიზეზებიდან სიღარიბეს, სირცხვილს და სასჯელის შიშს უფრო ხშირად თვითმკვლელობა გამოუწვევია ებრაელებთა შორის, ხოლო ლოთობას და ცოლქმარ შუა აღძრულ განხეთქილებას-მართმადიდებელთა შორის. დანარჩენს მიზეზებს კი ერთნაირად უმოქმედნია ყველაზე სარწმუნების განუჩივლად (рѣчь 901 г. № 73).

სასურველია და საჭიროც, რომ ამ გარემოებას საზოგადოების მხრივ ყურადღება მიექცეს და ამ მოვლენას, როგორც საზოგადოების, დროითვე შეებრძოლოს შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, სამწუხაროთ ბევრს არ ესმის, რომ სიცოცხლე ისეთი საკუთრება არ არის კაცისა, რომლის მოშორებაც ადვილად შეუძლო მას.

ნაკვები

ამ ბოლო დროს მეტათ გახშირდა თვითმკვლელობა, ასე რომ ამ სამწუხარო მოვლენამ გადამდებითი ხასიათი მიიღო. ექიმთა საზოგადოებას მიუქცევია ღურადღება ამ გარემოებისთვის და როგორც სჩანს ცდილობენ გამოარკვიონ ამის მიზეზები. ადესაში ექიმთა საზოგადოების ერთ კრებაზე ყოფილა მსჯელობა ამ საგანზე და მოუსმენიათ ვრცელი, დისკუსიონური მოხსენება პროფესორ ოსტროვსკისა.

დაზარული და გამოსარკვეველი.

სიზმარი და მისი მნიშვნელობა.

(„ესკეუნაიადან.“)

კაცის ტვინი, სიზმარში უფრო მუშაობს ვიდრე ცხადში.

ბევრ მსატვარს, მწერალს და კომპოზიტორს, ბევრი თავისი ნაწარმოები ძილში მოუფიქრებია. კამოჩენილ მათკატაკებს ბევრა სასწაულო ამოცანა ამუცუნიათ. ვოლტერი აშკარად ამბობდა, რომ ბევრი ამის

ხაწარმოებთაგან, სიზმრების შედეგი იყო. მივიდი და სთხრა აღამანები, ძილში მკვლელობას ახდენენ. კაცის მკვლელისა და ავაზაკებს კი სშირად ესიზმრებათ ხელმე ჩაღენილი ბორბო-მოქმედებანი.

„ხალსი, რომ თავის სიზმრების და მიხედვით გაყასამართლოდ“ ამბობს ერთი შესანიშნავი ფილოსოფოსი. მამინ ბევრი კატორღაში გაიგზავნება და სარჩობელის წერა განდებოა.

ძილში ჩვენ სშირად გვეძლევა არა ჩვეულებრივი ნიჭი და სშირად ვგრძნობთ და ვიგებთ თუ მომავალში რა გველის.

ბ. ტუმბი, ფრანგულ ენაზე „les anneles“-ის თანამშრომელმა, გახიძარხა რამდენიმე მანინც განმარტა და გამოკრევიდა სიზმრის მნიშვნელობა. მან რამდენიმე გამოჩენილ სხვა და სხვა ხელის ბირთ სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ და გადაეტათ მისთვის რამე თავიანთ სიზმრების შესახებ. სხვათა შორის ზასუხი გასცა და სიზმრების შესახებ განმარტება გამოგზავნა საფრანგეთის გამოჩენილმა მსახიობმა ქალმა სარა ბურნარმა

„როდესაც მე ვერ ისევ ზატარა და მცირე წლოვანი ვიყავი, — მოგვიტხრობს სარა ბურნარა — ჩემთან ერთად დედაჩემი უნდა ჩორმანდაში წამოსულიყო. მე შევეცადე, ცოტად თუ ბევრად გამოვავლინებოდა მოწყობილება იმ ადგილისა სდაც რამდენიმე ხანს უნდა შეცხოვრა. დანიშნულ ადგილამდის რომ მიგვეღწია, კაი ძალი გზა უნდა გავკეცო, რომელიც ჩვენი უცხო და უცხოები იყო. დაღამდა. ფეხის გადადგმაც არ შეიძლებოდა. დედაჩემმა გზა არ იცოდა და რადგან დახვევისა გეშინოდა, გადასწყვიტა შეგჩერებულიყო

მე ვიცი გზა! განუცხადე მე დედას

შენ გზა იცი? — გაკვირვებით წამოიძახა დედაჩემმა, — შენ, რომ აქეთ ვერ ფეხიც არ დაგადაგას?

— ეს არაფერს არ ნიშნავს — ვუხასუხე მე-მე საფსებით ვიცი მდებარეობა იმ ადგილისა სდაც ჩვენ უნდა შევიდეთ და შეც წინა დამეს ნახული სიზმარი გამახსენდა და დედას ისეთი დაწერილებით განუმარტე ყოველივე, რომ იგი უყოყმანოდ დათანამხდა და გამომევა. ჩემი სიზმარი ახდა ყოველივე ჩემი ნათქვამი და სიზმარში ნახული ტეშმარტება გამოდგა.

— აი, კიდევ ჩემი სიზმარი — განგროძო მსახიობმა ქალმა, — ერთ მოგზაურობის შემდეგ მე ამერიკაში წავედი, ერთხელ სიზმარში ვხედავ, რომ ჩემი შვილი, რომელიც ზარიზში დატოვე, უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა იგი ბრაზიანმა ძაღლმა დაკვინა. რადგან ჩემი სიზმარი სშირად გამართლებულად ხოლმე, რომ გამოემკვდიოდა, სმინლად შევძინდი და მამინვე ტელეგრაფს ვეცა, — ყოველი დედ-გაიგებს, თუ რა მდგომარეობაში და სულიერ განწყობილებაში ვიქმნებოდი მე მამან. ჩემი სიზმარი ხაწინასწარმეტყველები გამოდგა. იგი იმ დროს ახდა — რა დროსაც ვახე, მატარებ ჩემდა საბუნდოროდ გამოირგვა, რომ სქელი ტანსაცმელის წყალობით, ჩემი შვილი სიკვდილს გადაჩხა, დიხანს არ მოვსულივარ გონზე ამ სახარულ ამბის შემდეგ.

— მე წინათგრძნობის ნიჭი მაქვს დათავა სარა ბურნარმა — იმათ შესახებ, ვინც ჩემთვის უძიარფასესი და სავარელია.

* *

ინგლისის გამოჩენილმა ექიმმა მორიცმა, თავის ზრატოვებაში ისეთი მკვლელი ნახა, რომელიც იძულებულ ჰყო იგი, რომ ყოველ ზაციენტის დაზარაქისათვის სიზმრების შესახებ, დაკვირვებით უური შეეკლო.

— ზაციენტო და მკვობარი ექიმ მორიცისა უძილობით იტახებოდა. იგი იმ ზომამდე დავიდა, რომ ძაღლზე და სისხლი სრულებით გამოეღა და მადაც დაეკარგა. ამ ხაირ ავთმუოფობის მიხეცა ექიმ ვერ ეპოვა. არც ოჯახურსა და არც ნათიერ მდგომარეობას, არ შეეძლო რაიმე მნიშვნელობა ქობოდა ამ ავადმუოფობის განკითარებას. ავადმუოფმა ერთხელ ექიმ მორიცს შეძლეა ამცნო:

— დედას მე გასაცარი სიზმარი ვახე. ვათომ ბე უწის რომ ექიმ აქამობდა მან კაბინეტის კარუთახ ვიდექი და მის საწერ მაგიდას ჩემი დურგალი მისჯდომოდა

— როგორ ნუ თუ თქვენც ექიმობთ? — შევეკითხე მე მას.

სანასუხით მან ქაღალდი გამომიწოდა რომელზედაც ეწერა: „თავის მაქარო.“

— ნუ თუ მე მართლა მოწამლული ვარ? — მიუბრუნდა ზაციენტო ექიმ მორიცს.

ექიმებმა ვერა ნახეს რა იმისი ცხოვრებდას

ისეთი, რომელიდანაც მას მოწამულა შეძლებოდეს.

პიტიონტი კი არა სცხრებოდა ათი დღის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ ეძებდა ავადმყოფობას სათავეს სანამ არ მოაგნო. გამოიკრევა, რომ ზაფხულზე მას საქანაო სავარსებელი ეყიდა, რომელიც იაფფასიან წაქალით იყო შედებული. პიტიონტი დადლილობას დროს თურმე მასზე ისვენებდა და იქით აქეთ ქანაობდა. წაქალი იფშენებოდა, რომელშიდაც თავისი შაქარი იყო გარეული, ჰერში ნავდებოდა და აქედან კიდევ იგი იწამებოდა. ამ სავარსების მოშორების შემდეგ ავადმყოფი მართლაც გამოკრებოდა.

* *

ერთხელ ლექციაზე, გამორჩენილმა ფიზიოლოგმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა დიუბოურე-იმონდმა თავის მსმენელებს შემდეგი ფაქტი მოუთხრო, თავის საექიმო პრაქტიკიდან.

—პროფესორმა იქიმი ერთ ახალგაზდა ქალს არჩენდა შინაგან ავადმყოფობიდან. დიაგნოზი არ ეშველებოდა და მომჩინებდა სათუთ იყო. ავად მყოფის მდგომარეობა თან და თან უარესდებოდა. მოწვეულ იქმნენ სხვა ექიმებიც, მაგრამ ვერც ამათ უშველეს რა. გადახსრივეს მთელი საექიმო ლიტერატურა, მაგრამ ტყუილ უბრალო.

ერთხელ სადამოთი დადლილ—დაქანტული ექიმი სახლში დაბრუნდა, ავადმყოფობა ცეცხლის სისწრაფით მიდიოდა წინ და სიკვდილი მოახლოვებული იყო. ექიმი ჩაიბინა. ძილში ხედავს, რომ ვითომ იგი ახალ საექიმო წიგნს ათვალიერებს, სადაც აწერილია ავადმყოფობა ისეთივე, როგორც მის პიტიონტას აქს და რეცეპტიც მოეყვანილია, რომელიც შესანიშნავად მოქმედებს ამ ავადმყოფობაზე. აღმოჩენით გაკვირვებული ექიმი წამოხტოდა, რომ ეს მოსარჩენი რეცეპტი ჩაიწერეს, მაგრამ მისდა საუბედუროთ აღარ აგონდება. ვეღარ მოიგონა სიზმარში ნახული რეცეპტი.

ექიმი მეორეთ ეძლევა ძილს და ისევ იმავე სიზმარს ხედავს, მხოლოდ ესხაქი მას შეძლება მიეცა სიზმარში, რომ ეს რეცეპტი ქაღალდის ნახულებზე გადმოეწერა.

დილით ექიმი იღვიძებს და ავადმყოფობი სანახადად სურს წავიდეს, მაგრამ ამდროს მკვიდავს

ქაღალდის ნახურს ხედავს და ნახული სიზმარი აგონდება. მივა, ნახავს, რომ ძილში მართლაც გადმოეწერა მას რეცეპტი. ავსახის აფთიაქში, მოაქვს წაქალი და პიტიონტას ხმარს. პირველ ხმარების შემდეგ ავადმყოფი მსწრაფლ გამოცოცხდება. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოვიდა დაბეჭდილი აქიმის მიერ სიზმარში ნახული რეცეპტი. ეს ფაქტი შემოწმებულ იქმნა.

დრმათ მოხუცებული ჩინურისის, ქმრის სიკვდილის შემდეგ თვის 15 წლის ქალიშვილით ერთ მიურუბულ მამულში გადასახლდა. მისი ქსში ვაჟი კი ვარშავაში მსახურებდნენ და პოლში. ცხოვრობდნენ ოჯახურ მოღაპარაკების დროს გადასწვია ტეს, რომ ერთ-ერთი ვაჟთაგანი სამსახურიდან გამოსულიყო და რადგან არც დედას და ქალს შეურნობის არა ესმდიათ რა, ამიტომ ოჯახს უნდა გადმოეღო. თქვეს და შესრულეს.

კენჭი შუათანა ვაჟს ივანეს შეხვდა, რომელსაც მართლაც სამხედროსა მსახურზე უფრო მეურნეობა და ოჯახური საქმე ეხერხებოდა

ამსობაში დროც კარბოდა, და მოვიდა უკანასქნელი ვადაც, როდესაც ივანეს სამსახურიდან გასვლის თხოვნა უნა შეეტანა. ივანე ჩინური წავადა ქალაქში და პირდაპირ დივანიის ადოტანტთან ჩამოხტა. როდესაც ამ უკანასქნელმა გაიგო, რომ მის სტუმარს სამსახურიდან გასვლის თხოვნის შეტანა სურდა, ეუცხავა:—ხუთუ შენ არ იცი, წამოიძახე მან-რომ სამსახურიდან ერთი წლის ადრე არ შეიძლება გასვლა?! განწი ესხაჟ ვარშავაში, თორემ სამხედრო სასამართლოს არ ასცდებოა. საბრალო ივანეს, რომელიც სამსახურს სრულვით გადაწვეული იყო, იმის ასეთ განცხადებაზედ ჭირის ოფში დასხაფული არ ქონდა და მანძილი კი დიდი იყო გასაუკელი. მოღუშული და დამწურებული ჩინური შინ დაბრუნდა. სახლში ტირილი-მორთეს თათქა შეიღეს მარხადნენო, აქაც კიდევ სრული უფულობა, დილით და მძის ატეობინებს, რომ მას ესიზმრა მოხუცი, რომელმაც განაცხადა, რომ თხოვნა უკვე მიღებულია ვარშავაში და შეწყნარებულიყო. იმავე დღესვე გავსენილმა კაცმა ფოტიდან, სამსახურიდან გასვლის ბრძახება მოიტანა, რომელიც მის ძმას გამოეგზავნა.

—რამდენი ტანჯვა წვალებს გამოვიარე ამ

იმავე რედუქციის გამოცემა № 5 „ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე“ თარგმანი სართანძისა. ფასი შეცდომით ორი შაური აწერია. ყველგან შაურათ. ეკლესიებს ხალხში დასარიგებლად დაეთმობა ცალი 4 კაპეიკათ. წიგნაკში 51 გვერდია.

შერილი რქაპეტიის მიმართ.

გაზეთ ფონის მე-6 ნომერში მოთავსებულია კორესპოდენცია რაქიდან კარნაპას პსევდონომით, რომელშიდაც ბ. კორესპოდენტი მეხება მეც. ვიცნობ ბ. კარნაპას და იმ პირსაც რომლის შთაგონებითაც იგი ემუშაიფება მკითხველ საზოგადოებას ჩემ შესახებ—დაახლოვებით ვიცი იმათი ზნეობრივი სისპეტაკე და ამიტომ ერთის მხრით არც კი მინდოდა ამ კორესპოდენციის, შესახებ ხმა ამომეღო. კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდება და ბ. კარნაპას და მისი სუფლიორის პირთაგან რა ამოვა თვინიერ დედაკაცური კორიკანობისა და სხვის დასაგმობ ვასაკიხავად ყალიბი ხმების შეთხზვა გავრცელებისა; მეორეს მხრით კი ვშიშობ ჩემი სიჩუმე თანახმობის ნიშნად არ მიიღოს მკითხველმა საზოგადოებამ, ხოლო გათამამებულმა კორესპოდენტმა კი უფრო მეტი ჩემი ზნეობრივი სიკოტრის დამახასიათებელი საბუთების შეთხზვა-გავრცელებით მეტი არა ქნას და ჩემს ზურგზე თავისუფლად კვლავ არ გაინავარდოს. ბრალდება, რომლითაც კორესპოდენტი თავის უშინაარსო წერილში ჩისქს სცხებს ჩემს ზნეობრივ მხარეს, ყოველი მხრით მიკლებულია სიმართლეს. 1907 წელში საზოგადოების განაჩენით, ბრძანებს კორესპოდენტი, ლიკორწმიდის 2-კლასიან სასწავლებელთან უნდა გახსნილიყო ახალი განყოფილება სამინისტროს ხარჯით. განაჩენი სისრულეში მისულა—იმწამსვე გახსნილა განზრახული განყოფილება, რომელ-

შიდაც მასწავლებლათ, თურმე მე გამოვქიმულვარ. ხოლო რადგან მთავრობა ხაზინის ხარჯით მასწავლებლის დანიშვნას აგვიანებდა, და მე კი, თურმე, უჯამაგიროდ მიხლებოდა სამსახური, გარდამიწყვეტია ჯამაგირი შობლების ჯიბით ამენაზღაურებია: ამ მიზნით, როგორც მზრუნველს, მომიკრებია 275 მანეთი და არა თუ საშრომო ამიღია, მოკრებილი 275-ც სრულებით გამიფლანგავს. აი სიმართლის მოყვარეობაც ამასა ჰქვია. სანამ აღნიშნავდე, თუ რამდენად მივლებულია კორესპოდენტის ცნობა ჩემ შესახებ სიმართლეს-მივმართავ თვით ბ. კორესპოდენტის, წყველი გულით აღიაროს—ნუ თუ ყოველივე მის მიერ გაზეთში აღნიშნული ჩემ შესახებ სიმართლეა და არა მისგან და ბ. კბილაძისაგან მოკორილ-გავრცელებული? როგორც თვით კორესპოდენტიც აღნიშნავს, 1909 წლის იანვრამდე 1908 წლიდან მე ვიყავი სასწავლებლის მზრუნველად და ამ ხნის განმავლობაში თუ რამდენი შრომა მიმიძღვის ამ შკოლის საკეთილდღეოთ, თუ ვინ იყო მტერი შკოლისა და საზოგადოებისა—თუ რამდენი უსიამოვნება და შეურაცყოფა შემხვედრია შკოლისათვის ზოგიერთ მისი მტრებისაგან და განსაკუთრებით კი ზედამხედველის მიქაუტაძისაგან, რომელსაც შკოლაში სისტემატიურად მაცადინობა ზედმეტ ბარგად მიაჩნდა ხოლო-შკოლის შეგირდები კი ჯამაგირის გასადიდებლ საკრეკ ცხვრის ფარად ჰყავდა გადაქცეული, ამას საზოგადოება, შკოლის შეგირდები და თვით საქმეები დაამტკიცებენ. სულით და გულით მოწადინებული ვიყავი შკოლის შეგირდებთა რიცხვი გადიდებულიყო და ამიტომ 1907 წელს საზოგადოების დადგენილებას—რათა გახსნილიყო სასწავლებელთან ახალი განყოფილება ხაზინის ხარჯით—მე დიდი თანაგრძობით შეეხვედი. მაგრამ ნუ თუ არ იცის ბ. კორესპოდენტმა, რომ არ კმარა მართა საზოგადოებისაგან პრიგავორის დადგენა, სამჭინოა კიდევ რომ პრიგავორი მთავრობის მიერ იქმნეს დამტკიცებული და მით შუამდგომლობა შეწყნარებული, ნუ თუ არ გაუგონია ბ. კარნაპას, რომ არა თუ მართა

პრიგოვორი დავადგინეთ, არამედ 3223 მანეთი ამავე საზოგადოებამ შეიტანა ღირებულების დებოზიტში 1903 წელსივე—2000 მანეთამდე კერძო ხელის მომწერლებისგან არის.—თითქმის ყოველ წელიწადს ახალ ახალ პრიგოვორებს ვადგენთ. ადგილს, შენობის აგებას და წლიურ 1000 მანეთსა ვკისრულობთ სამოქალაქო სასწავლებლისათვის. მაგრამ აგერ შეიღწევი წელიწადი ვადის და საქმეს ჯერ კიდევ არა შევღებოთ და რაღა გასაკვირვებელია რომ 1907 წელს პრიგოვორიც არ შეიწყნარა სამოსწავლო მთავრობამ და იმ წელს-სახაზინო მასწავლებლის დანიშვნაზე უარი გვითხრა.— ამგვარივე უარი იყო 1908 წელსიდაც. 1907 დიდძალი ბავში შკოლის გარეშე დარჩა. არ გვქონდა მესამე განყოფილება და რაღა საჭირო იყო მესამე მასწავლებელი, რომლის დანიშვნამდე თურმე მე ვასწავლიდი. 1908 წ. შკოლაში შემსვლელი ბავშვების რიცხვმა ორ ზომად იმატა. შკოლაში კი თავისუფალი ადგილი თითქმის სულ არ იყო. შკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვების მშობლებმა მედგრათ მოითხოვეს, რომ მათი ბავშვებიც მიგველო სასწავლებელში. „ან მიიღეთ ჩვენი ბავშვებიც ან სრულებით დაიხუროს სასწავლებელიო“ გაიძახოდნენ ისენი. სამოსწავლო მთავრობა ხაზინის ხარჯით მასწავლებლის მიცემას არ პირდებოდა, საზოგადოება კიდევ ამას ამბობდა: „ჩვენ ისიც გვეყოფა რასაც ვიხდით წლიურად ამ სასწავლებლის შესანახად და ვისაც მესამე მასწავლებელი ესამკინოებოდეს ფულიც იმან გადიხადოსო“. მეტი რა გზა იყო, ორში ერთი საშუალებების უნდა მიგვემართა—ან 80 ახლად მისაღები ბავშვებისათვის გადაჭრით მიღებაზე უარი უნდა გვთქვა—და ეს გამოიწვევდა ბავშვების მშობლების მხრით უზომო აყალ-პაყალს; და ან მიგველო ეს ბავშვები, გიმოგვენახა საშუალება და აგვეძრა შუამდგომლობა მესამე მასწავლებლის დანიშვნის შესახებ. სამოსწავლო მთავრობა, ზედამხედველის სიტყვით, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შუამდგომლობა ამ საკითხის შესახებ, მანამდე არ თანახმდებოდა მესამე მასწავლებლის დანიშვნას, სანამ მთელი

წლის ჯამაგირი წინდაწინ არ იქნებოდა მოკრებილი და ხაზინაში წარდგენილი. შეიძლება ბ. კარნაპა აქ მეტს გამჭირახობას გამოიჩინა; არა თუ ახლად მისაღებ ბავშვებს შკოლაში მიღებაზე უარს ეტყოდა დიდი ხნის მიღებულებსაც კი კეტით დაერეოდა და შკოლიდან გააძევებდა. ჩვენ კი, უნდა გამოვტყდეთ, ამდენი გამბედაობა ვერ გამოვიჩინეთ და გადავწყვიტეთ, შევირდთა მშობლების ნებართვით (რომელთაც განაჩენიც კი დასწერეს ამის შესახებ) მიგველო მთხოვნელები, აგვეძრა შუამდგომლობა მესამე მასწავლებლის დასანიშნავად, რომლის დასაკმაყოფილებლადაც უნდა გადაეხადათ, როგორც ახლად მიღებულს, ეგრეთვე შკოლაში მყოფ ბავშვებსაც თითო მანეთ ნახევარი რითაც უნდა შემდგარიყო 275 მანეთი და უფრო იყო 240 მანეთი მასწავლებლის ერთი წლის ჯამაგირად (1908-ენ კენისთვიდან მომავალი წლის ენკენისთვემდე), ხოლო დანარჩენი 35 მანეთი სახლის ქირად და სხვა წერიმალ ხალჯებში. ზედამხედველი მიქაუტაძე, თანახმად დადგენილებისა შეუდგა სასწავლო ფულის მოკრებას. შეკრიბა პირველ ხანს 200 მანეთი, რაც ბ. ღირებულების ბრძანებით წარდგენილ იქმნა ხაზინაში (на содержаніе з-уч. Никорц. училища). ფულის ხაზინაში წარდგენისთანავე სამოსწავლო მთავრობის მიერ მასწავლებლად დანიშნულ იქმნა ვინმე მანჯავიძე. კორესპონდენტი მოგვითხრობს: „რადგან მთავრობა მასწავლებლის დანიშვნას აგვიანებდა, მღვდელი მინა მესხი ასწავლიდაო“... არა ბ. კარ. აი თქვენზე შეიძლება ითქოს: „Слышалъ звонъ, да не знаетъ гдѣ онъ“. მთავრობა კი არ აგვიანებდა მასწავლებლის დანიშვნას, თვით დანიშნული მასწავლებელი აგვიანებდა მისვლას ვხედავდი რა, რომ მასწავლებელი მოსვლას აგვიანებდა და ბავშვები კი მთელი ორი თვის განმავლობაში ტყუილ-უბრალოდ დაეხეტებოდნენ შკოლაში მე, ოფიციალურად მივმართე დირექტორს თხოვნით, რათა დაეჩქარებია, მასწავლებლის გამოგზავნა. ნაცვლად მასწავლებლისა მივიღე დირექციიდან მასწავლებელ მანჯავიძის მიერ წარდგენილ ავადმყოფობის

მოწმობა, რის შემდეგაც წერილობით ვსთხოვე დირექტორს მანჯავიძის, მოსვლამდე მოეცა ჩემთვის ბავშვებთან მაცადინობის ნებართვა. რაც მომივიდა გიორგობისთვის 26 და მე 27 შეულექი საქმეს. აბა რა არის ამაში სინდისის წინააღმდეგი და სად არის ის ჩემი ზნეობის შემლახველი განზრახვები, რომელთაც მაწერს მე ფონის კორესპოდენტი, რომელიც, სჩანს, ქორიკანობასა და სიცრუის ლაპარაკში მეტ სიამოვნებას პოულობს ვიდრე სიმართლის თქმაში. — დანარჩენი 75-მანეთიც ღვინობისთვის განმავლობაში მოკრიბა შკოლის ზედამხედველმა და შკოლის საკეიტანციო წიგნშიდაც გაწერილი არის. როდესაც სამოსწავლო მთავრობამ დანიხა, რომ საზოგადოებამ ერთი წლის ჯამაგირიც კი შეაგროვა-და ბავშვების რიცხვიც საკმაო იყო, მესამე მასწავლებლის — თვის მან აღძრა შუამდგომლობა რომ ამ მესამე მასწავლებელს შემდეგისთვის სახაზინო ჯამაგირი დანიშნოდა და მართლაც-საზოგადოების სასიხარულოდ 1909 წლ. 7 იანვრიდან დაენიშნა მასწავლებელს ხაზინის ჯამაგირი. მე დავრჩი მასწავლებლად-მანჯავიძის ნაცვლად 27 გიორგობისთვიდან იანვრამდე და მანჯავიძის ხვედრი ჯამაგირი 47 მანეთი დირექტორის განკარგულებით მე მივიღე; 15 მანეთი სახლის ქირად ვავიდა, დანარჩენი-კი ხაზინაში უნდა იყოს და საზოგადოების თავისუფალ თანხას შეადგენდეს დღეს კი ამბობენ ხაზინაში ამ ფულებიდან ერთი კაპეიკიც აღარ არისო. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ მე აქ რა შუაში ვარ-? მაჩაბელმა ცოდვა ქნა და ურია ქე დასაჯესო — თუ გინდა აბა ეს არის. უნდა იცოდეს ბ. ფონისტმა, რომ ამ გვარი ფულები დღიდან ხაზინაში შეტანისა შედის სამოსწავლო მთავრობის კომპენტენციაში და მის ნება დაუთვლად არავის უფლება არა აქვს ეს ფულები, ხაზინიდან გამოიტანოს და გაფლანგოს და თუ ვინმემ დირექცია შეცდომაში შეიყვანა, ამ ფულების ხაზინიდან გამოტანის ნებართვა აიღო და კიდევაც შექაპა — ამას, ცხადია, ვერავინ მოახერხებდა, გარდა ბ. შკოლის ზედამხედველ მიქაუტაძისა, რომელმაც თავისი სასიქადულო მოქმედება შკოლისა

და საზოგადოების საკეთილდღეოდ დაავგირგვინა მით, რომ ეს ფულებიც იაფუკენა საზოგადოებას ზურგზე და გაუდგა გზას. გასაოცარი ის არის, რომ ეს ახირებული კორესპოდენტი, თუ ჩემს შესახებ ასე ურცხვად ცრუობს, ნამდვილდამნაშავეს ბ. მიქაუტაძეს რათ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს, მაგრამ ან კი რა არის გასაოცარი? ესენი ხომ სოციალური პარტიის ბიჭები არიან და ამ ჯურის ხალხს განა შეშვენის ერთმანეთის ნაკლულევენება გამომავლადნონდ მით პარტიას სახელი გაუტეხონ?! რა ნიარად და რა უფლების ძალით შემეძლო მე ხსენებული ფულის ხაზინიდან გამოტანა, როდესაც ინცინდენტისა გამო ჩემსა და მიქაუტაძის შორის, რომელსაც ნაცვლად იმისა, რომ მისთვის პასუხი მოეთხოვნათ მის საზოგადოებასა და შკოლაში არა სიმპატიურ მოქმედებათა შესახებ, ინსპექტორმა ბ. მაჟ — მა მხარი დაუჭირა, რითაც მოთმინებიდან გამოსულმა მასწავლებელს, როგორც მზრუნველმა, სამზრუნველოს წევრმა და საღვთო სჯულის მასწავლებელმა ოფიციალურად თავი დავანებე — ხოლო ეს ფულები კი გაფლანგულია შემდეგ.

როგორც კორესპოდენტიც იხსენებს. — საზოგადოებაში ყალბი ხმების გავრცელებისთვის ბ. ა. კბილაძე სამედიატორო სამართალშიდაც გამოვიწვიე. მედიატორებათ დანიშნული იყვნენ შკოლის ახალი ზედამხედველი ბ. მ. ჯუღელი, მასწავლებელი დ. გამრეკელაშვილი და ი. გორდეზიანი. მაგრამ ახირებული ხალხი გამოდგა ეს ჩვენი მედიატორები. ნაცვლად იმისა რომ სიმართლე გამოერკვიათ, დაუდგენიათ და გაზეთ ფონშიდაც გამოუცხადებიათ: „შეურაცხყოფილმა შეურაცხყოფელი პრესის საშვლებით გამოიწვიოს საკამათოთათო“. აი ნამდვილი განაჩენი გამჭირავ მედიატორგოა! არც წვადი დასწვეს და არც შამფური, და თავის თავიც უსასყიდლო შრომიდგან სულ ადვილად გაინთავისუფლეს ნუ თუ არ შეეძლო ბ. ზედამხედველს (და ეს ხომ მის პირად მოვალეობასაც შეადგენს). შეკითხოდა დირექტორის კანცელარიას, თუ ვის ხელშია,

ბავშებიდგან მოგროვილი და ხაზინაში წარ-
დგენილი ფული. და თუ ვინმეს ეს ფულები
გახმარებული აქვს რა უფლებით და ვისი ნებარ-
თვით? და ბ. მედიატორები რომ ასე მოქცე-
ულიყვნენ საექვო აღარ დარჩებოდა რა და
ნათლადაც გამოირკვეოდა, თუ ვინ გაფლანგა
ეს ფული და რამდენად მართალია ბ. კარნა-
პას ბრალდება ჩემ შესახებ.

მლ. მინა მესხი.

ბ. „კრიკას“.

ბ. „კრიკა“ ნება მიბოძეთ, „ეშმაკის
მ.თარახის“ (№ 8) მესტიურულ განყოფილე-
ბაში მოთავსებული თქვენი ლექსისა გამო
გიპასუხოთ შემდეგით: მადლობას გიძღვნი,
რომ მათარახით შეიარაღებული გამობრძანე-
ბულხართ ჩემს წინამდღე მათარახი დღეს
უმრავლესობისათვის მაინც საჭიროა და, მგო-
ნია თქვენთვისაც ბ. „კრიკა“, მხოლოდ არ
არის სასიამოვნო ეშმაკისა, რომ ვინძლო,
ეშმაკურად, არ მოახვედროს სადმე ალაღ-
მართალ სხეულზე.

მე არ შეევებები თქვენს ღირსება-ნაკლე-
ლევანებას, გინდ დაწვრილებითი ცნობებიც
ხელთ მქონდეს მათს შესახებ და არ შეევებები,
სანამ თქვენს უკიდურესობას კიდევ არ
გაიმეორებთ; არც გთხოვთ ვინაობა გამომი-
ჩინოთ. რადგანაც „სიტყვანი თქენნი გამოგა-
ჩენენ თქვენ.“ მე მოგახსენებთ და იმასაც
გაკვრით (დაწვრილებით არ ჯობია), რამ
გამოიწვია ჩემი წერილი პირად მე, შეიძლება,
ვიყო მომხრე და შეიძლება არა, რომელიმე
დღევანდელი საპირ-ბოროტო X-ისა, მაგრამ
თავის დღეშიაც არ მივემხრობი იმ X-ს, რო-
მელსაც სჯული არა სწამს, რადგანაც მტკიცედ
მჯერა, რომ სჯული და რწმენა ღვთისა
საფუძველია ცხოვრებისა. ამის შემდეგ რათ
გაგიკვირდეთ თქვენ, რომ ხმა ამოვიღე, როცა

მისი (სჯულის) აშკარა ღალატი შევნიშნე,
ისიც საჯაროდ? მკათოდ გავიგონე სხვათა შო-
რის: „რა გაგიკვირდა ძმაო, რომ განშორდი
ამ სოფელს და გაეჩქარე იქ, სადაც არაფერი
არ არის“... ამის თქვენც მოჰკრავდით ბ. „კრი-
კა“ ყურსცხედრის წინ, ან იქ მაინც, სადაც რეჩის
რვეული სარეპეტიციოდ იქმნა წაკითხული,
შეიძლება, ისიც შენიშნეთ, როგორ აღეღევა
მდაბიო და გაგებული საზოგადოება იმ დღის
რეჩებმა! ამაზე და სხვა ამის მსგავსებზე სამ-
ღვდელოებას ხმა არ ამოუღია, თუ ტურ-მიბ-
რუნებულ, წყენის გამომხატველ მანქვა-
კრიკვას (უკაცრაოდ, თქვენ „კრიკას“—არ შე-
ვებებივარ) ხმის ამოღებად არ ჩავთვლით; ამი-
ტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მღვდელებმა, რა-
ღაც ვავლენის მიზეზით გაუშვეს თვალთაგან
მწყემსური მოვალეობა.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ ბ. „კრი-
კა“, რომ ადამიანს, საზოგადოდ, უარყოფითი
უფრო ეწვეთება ყურში, ვიდრე დადებითი და
იცით თუ არა, რანაირად იმოქმედა ხალხზე
უარყოფითმა? ან რასჭირო იყო ერთ ცხე-
დარზე (ცხედარს მე არ შეურაცხვეყოფ, ეს თქვე-
ნი მოგონილი ჰორია.). ერთი და იმავე პი-
რისაგან, წირვამდე—წაწირვეს, ორი და ისიც
დაუბოლაგებელი რეჩი? თუ არ „ეცდები, მო-
სწრებულად შენიშნა იქვე მდგომმა სოფელ-
მა კაცმა: „თუ ამდენი სალაპარაკო გქონდა,
ბარემ იქ წაყოლოდიო“.

რაც შეეხება „ცოცხლების ცუდის მყო-
ფელობას“ და „ცხვრის ტყავში გამოხვეულო-
ბას“, რაც სხვა გინებათა შორის შეიძლება
შენიშნოს კაცმა ლექსში, ეს ცოტა იქით მო-
იკითხეთ...

ერთობ ვაგლახათ გიკარნახებით პოეტი-
სათვის.

შეიძლება იმანაც გაგაკუქათ, ბ. „კრიკა“,
რომ წერილში არ იყო ნათქვამი:—იყვნენ
ზომიერი რეჩებო—? ვგრძნობ შეცდომას,
ღიახ ითქვა ზომიერი და შესაფერი სიტყვებიც.

დაბოლოს ვთხოვ „კრიკას“ და მისთანათა,
რომ თავი შეიკავონ ღანძლვა-გინებაში, თო-

რემ ვინ იცის უკიდურესი მიმართვა სანამდი მიგვიყვანს? ჩემი შეხედულებით უმჯობესია პოლემიკა, რომელიც საზოგადო შინაარსს და ინტერესს მოკლებული არ იქნება, ვინემ „მესტიერული ლანძღვა-გინება“.

მატიასიკემბით, კარილე წუთისოფლელი.

ვაგზალებ საქვალთ & სალიაპნთ საგნებში,

აგრეთვე საქასწაკლებლია

გეხემენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კასაკოვის ქუჩა, № 17

დაიბეჭდა

საბლალოჩინო ვედომოსტის

ბლანკები.

მსურველთ შეუძლიანთ მოიკითხონ

„ქმოვის“ სტამბაში

ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩა კირიშჩევის სახლი.

ОБЪЯВЛЕНИЕ.

ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНО
ПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ

А. И. ЖИРЯКОВА

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣн-
ную живопись всякой художественной
работы по весьма умереннымъ цѣнамъ.

Имѣются одобрителныя отзывы отъ
преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей
монастырей и соборовъ.

ბანცხადება.

„ზინაური სამუშაოს რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1. წაგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
- 2. სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის
ასებობა — — — 5 კაპ.
- 3. ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ
- 4. ქრისტიანობა ბებელის ლაბორა-
ტორიაში — — — 10 კაპ.
- 5. ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავ-
ლენა მეცნიერებასა და ცხოვერ-
ებაზე — — — 10 კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს
მანეთზე აბაზი დაეთმობა.

◆◆ სტამბა ◆◆

იმერეთის წმ. გიორგის სარწ.-განმანათ.

„ქმოვის“

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის
სახლში, გუბერნატ. კანცელიარიის ქვეშ,

ღებულაბს უოგედგარ სასტამბო საქმეებს

== სელ-მისაწილმ ფასკში ==

ასრულებს სუფთად რ თავის დროზე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამილაძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა